აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 12

22 სექტემბერი 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გია გარსევანიშვილი, ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.

არ ესწრებოდა: დიმიტრი დარჩია.

აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლები, რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებლები და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

2. განკარგულება - ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტყრაციის შესახებ;

3. განკარგულება - უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ;

4. განკარგულება - საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

1. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.59.03);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.60.03);

2. დამტკიცდეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.34.02);

ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმში შესწორების შეტანის ოქმი (ფორმა №1-07.35.02);

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ მ/წ 19 სექტემბერს ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ „მოდუს ვივენდი“ მომართა უსკოს და მოითხოვა არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრაციაში გატარება. მას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, გააჩნია ნოტარიულად დამოწმებული წესდება და ითხოვს დაკვირვება განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საარჩევნო ოლქებში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტების და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი აჭარის ავტომნომიურ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას ,,მოდუს ვივენდი“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება

უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკოს წარმომადგენელთა შერჩევის შესახებ განცხადება განთავსებული იყო უსკოს ვებგვერდზე, ასევე გამოქვეყნებული იყო „გაზეთ აჭარაში“ და ნებისმიერ მსურველს შეეძლო შემოეტანა განაცხადი ორი დღის განმავლობაში უსკოს საკადრო სამსახურში. უსკოს წარმომადგენლების მსურველთა მიერ წარმოდგენილი საბუთების შესწავლა და შერჩევა მოხდა უსკოს 2012 წლის 15 სექტემბრის №24 განკარგულების შესაბამისად და შერჩეულ პირთა წარმოდგენა მოხდა უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის უსკოს წარმომადგენლების არჩევის მიზნით. სხდომის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა უსკოს წარმომადგენლების უფლებამოსილებების შესახებ და აღნიშნა, რომ უსკოს წარმომადგენლებს ევალებათ იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონით, ცესკოსა და უსკოს

სამართლებრივი აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, მათ არ აქვთ უფლება ჩაერიონ საარჩევნო კომისიის მუშაობაში. ისინი უფლებამოსილნი არიან უსკოს მიაწოდონ საარჩევნო უბანზე არსებული ინფორმაცია და გააცნონ იქ არსებული ვითარება. სხდომის თავმჯდომარე ასევე აღნიშნა, რომ განკარგულების დანართის შესაბამისად, წარმოდგენილ უსკოს წარმომადგენლის მსურველთა ერთერთამა კანდიდატმა გიორგი სირაბიძემ მასმედიის საშუალებით განაცხადა, რომ არ აქვს სურვილი იყოს უსკოს წარმომადგენელი, ამიტომ განკარგულების დანართის შესაბამისად წარმოდგენილ უსკოს წარმომადგენლების არჩევა მოხდეს გიორგი სირაბიძის გამოკლებით.

აზრი გამოთქვეს: ლევან გაბრიჩიძემ, ლილე ტეტემაძემ, მამუკა ჯაშმა და არჩილ მიქელაძემ.

ლევან გაბრიჩიძე დაინტერესდა უსკოს წარმომადგენელთა საარჩევნო ოლქებში და უბნებში ყოფნა ხომ არ შეაფერხებდა შესაბამისი კომისიის მუშაობას.

ლილე ტეტემაძე დაინტერესდა რა უფლებამოსილებებით ისარგებლებენ უსკოს წარმომადგენლები.

მამუკა ჯამშა აღნიშნა, რომ არ არის საჭირო ამდენი წარმომადგენლის დანიშვნა უსკოს მიერ და მხასრს არ უჭერს განკარგულების პროექტის დამტკიცებას.

არჩილ მიქელაძემ განმარტა, რომ უსკოს წარმომადგენლები იმოქმედებენ საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, მათ არ აქვთ კომისიის საქმიანობაში ჩარევის უფლება, ასევე აღნიშნა, რომ წარმომადგენლები ყავს ცესკოსაც საარჩევნო ოლქებში ეს არ არის ახალი ინსტიტუტი და ყველასთვის ცნობილია მათი უფელბამოსილების ფარგლები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევისა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 1;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არჩეული იქნან უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში, დანართის შესაბამისად წარმოდგენილი პირები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით არჩეულ უსკოს წარმომადგენლებს:

ა) ევალებათ იმოქმედონ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩვენო კოდექსი“, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, ცესკოს და უსკოს სამართლებრივი აქტებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შევიდნენ შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და კენჭისყრის შენობებში და სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ უსკოს;

გ) უსკოს წარმომადგენლებს არ აქვთ საარჩევნო კომისიის მუშაობაში ჩარევის უფლება;

დ) ევალებათ შეასრულონ უსკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა დავალებები.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება

საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ბიულეტენის ბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესის დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის წევრებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის უსკოს მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც, შეთახმების საფუძველზე ბიულეტენის ბეჭდვის პროცესში წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს. სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელ ორგანიზაციის „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“ პრეზიდენტს გივი მამულაძეს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა - ხომ არ აქვს სურვილი დაესწროს მათი ორგანიზაციის დამკვირვებელი ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს. გივი მამულაძემ განაცხადა, რომ დაფინანსების შემთხვევაში დათანხმდება შემოთავაზებულ წინადადებას წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ორგანიზაციას არ აქვს გამოყოფილი შესაბამისი თანხა. სხდომის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ უსკოს მხრიდან უსკოში რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციები ინფორმირებული იყვნენ ბიულეტენის დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების შესახებ, მაგრამ მათი მხრიდან უსკოში რაიმე წინადადება ბიულეტენის ბეჭდვაზე დაკვირვების შესახებ არ შემოსულა, რის შემდეგაც სხდომაზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს დააკვირდება უსკოს წევრი - ლევან გაბრიჩიძე, რამაზ ბოლქვაძე და ასლან ჩავლეიშვილი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ბიულეტენის ბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 63-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-60 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭვდის პროცესზე შეიქმნას დამკვირვებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან გაბრიჩიძე - კომისიის წევრი;
ბ) რამაზ ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
გ) ასლან ჩავლეიშვილი - კომისიის წევრი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**